



შპს „კავკასია“

საიდენტიფიკაციო კოდი - 400195828

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო

წლისთვის



შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში -----	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	7
ზოგადი უნფორმაცია -----	8
მომზადების საფუძვლები -----	8
მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა -----	8
ახსნა განმარტებითი ბარათები -----	9



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „კავკასია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების - "მსს ფასს" სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე; ✓ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე; ✓ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული "მსს ფასს" სტანდარტის შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

✓ ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე; ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება „მსს ფასს" სტანდარტის მოთხოვნებს; ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი: ავთანდილ კენკეაშვილი

ბუღალტერი: გიორგი გიგაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	Note	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	3 675 879	3 696 025	2 634 641
		3 675 879	3 696 025	2 634 641
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	12 194	6 195	16 107
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	3 313 577	1 846 057	714 958
მარაგები	4	623 432	616 824	310 565
ავანსები	5	0	0	70 013
		3 949 203	2 469 076	1 111 644
მთლიანი აქტივები		7 625 082	6 165 101	3 746 285
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		699 581	534 089	228 654
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-4 259 893	-2 037 331	-506 941
		-3 560 312	-1 503 242	-278 287
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	6	1 633 656	2 299 985	773 288
			0	0
		1 633 656	2 299 985	773 288
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	9 464 410	5 245 106	3 251 284
საგადასახადო ვალდებულებები	8	87 328	123 252	0
		9 551 738	5 368 358	3 251 284
მთლიანი ვალდებულებები		11 185 394	7 668 343	4 024 572
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		7 625 082	6 165 101	3 746 285

დირექტორი: ავთანდილ კენკეაშვილი

ბუღალტერი: გიორგი გიგაშვილი

**მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

	Note	31/12/2020	31/12/2019
ამონაგები	9	11 827 373	12 200 174
თვითღირებულება	10	-5 610 734	-7 091 580
საერთო მოგება		6 216 639	5 108 594
სხვა შემოსავლები		258 016	1 063 001
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		-3 952 097	-4 231 283
მიწოდების დანახარჯები		-2 660 653	-2 171 918
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		0	0
სხვა ხარჯები		-1 834 316	-1 028 878
საოპერაციო მოგება		-1 972 411	-1 260 484
ფინანსური შემოსავალი		6	46 684
ფინანსური ხარჯი		-250 157	-316 590
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-250 151	-269 906
პერიოდის მოგება		-2 222 562	-1 530 390

დირექტორი: ავთანდილ კენკეაშვილი

ბუღალტერი: გიორგი გიგაშვილი

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	228 654		-506 941	-278 287
მოგება წლის ბოლოს	305 435	0	-1 530 390	-1 224 955
პერიოდის სრული შემოსავალი	305 435	0	-1 530 390	-1 224 955
გაცემული დივიდენდი	0	0	0	0
2019 წლის 31 დეკემბერი	534 089	0	-2 037 331	-1 503 242
მოგება წლის ბოლოს	165 492		-2 222 562	-2 057 070
პერიოდის სრული შემოსავალი	165 492	0	-2 222 562	-2 057 070
გაცემული დივიდენდი	0	0	0	0
2020 წლის 31 დეკემბერი	699 581	0	-4 259 893	-3 560 312

დირექტორი: ავთანდილ კენკეაშვილი

ბუღალტერი: გიორგი გიგაშვილი

2.

გ. გიგაშვილი



**ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის**

	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	434 246	907 770
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი შემოსავლები	10 279 726	9 964 608
სხვა შემოსავლები		
მომწოდებლებზე და მომსახურებაზე გაცემული ფულადი სახსრები	-6 214 308	-6 313 086
გაცემული შრომის ანაზღაურება	-2 228 015	-2 189 130
სხვა ვალდებულებების შემცირება		0
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-1 153 000	-548 245
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-250 157	-6 377
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	87 950	71 527
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	-87 967	-233 908
შემოსულობანი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	10 425	
დამფუძნებლების შემონატანები	165 492	305 435
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	-516 197	-989 209
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-413 962	-989 299
მიღებული პროცენტები		90
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა ან კლება	-102 235	
ფულის ნაშთი პერიოდის დასაწყისში	6 195	16 107
ფულის ნაშთი პერიოდის ბოლოს	12 194	6 195
მატება/კლება	5 999	-9 913

დირექტორი: ავთანდილ კენკებაშვილი

ბუღალტერი: გიორგი გიგაშვილი





ზოგადი ინფორმაცია

შპს „კავკასია“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 06/02/2017 წ; რეგისტრაციის # B17014449 დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია იმავე თარიღში. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, იუმაშვიის ქუჩა, N 14, (ნაკვ.06/004), ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, იუმაშვიის ქუჩა, N 14, (ნაკვ.06/004), საიდენტიფიკაციო ნომერი: 400195828

დამფუძნებელი და მესაკუთრეები: ირაკლი ნიკოლაიშვილი - 01030011710 - 30%

ავთანდილ კენკებაშვილი - 35001048856 – 50 %

გიორგი ნიკოლაიშვილი - 01005015345 – 20%

შპს „კავკასია“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხორცპროდუქტების წარმოება და რეალიზაცია. როგორც საბითუმო ისე საცალო.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „კავკასია“-ს მესამე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩთვლით

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

-საქართველის კანონი „მეწარმეთა შესახებ“; -საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“; -ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

1. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად. ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

აქტივები	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	აკუმულირებული ცვეთა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება	წლები
მანქანა დანადგარები	601 726	21 610	0	43 829	579 507	5-10 წ
მანქანა დანადგარები/ლიზინგი	925 177	160 499	0	95 567	990 109	5- 10 წ
საწარმოო საშუალებები	213 098	508	0	35 484	178 122	10 წ
ოფისის აღჭურვილობა	22 919	3 029	0	8 212	17 736	3-10 წ
კომპიუტერული მოწყობილობები	32 804	1 458	0	7 179	27 083	2-5 წ
დასამონტაჟებელი მოწყობილობები	19 166	0	0	2 728	16 438	3-10 წ
სატრანსპორტო საშუალებები	262 395	0	10 425	35 995	215 975	4-7 წ
სატრანსპორტო საშუალებები/ ლიზინგი	1 426 518	230 296	0	232 687	1 424 127	4-7 წ
იჯარით აღებული ქონება	126 721	46 365	0	11 539	161 547	15 წ
არამატერიალური აქტივი	65 502	0	0	267	65 235	15 წ

2. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტების ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური კურსით. კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების/ხარჯების ანგარიშში.



3. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

ადიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

4. მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

5. გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს. პერიოდის ბოლოს კომპანიის არ გააჩნია ავანსად გადახდილი თანხები.

6. გრძელვადიანი სესხი

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი ადიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს სს თიბისი ლიზინგისგან აღებულ სესხს (ფინანსურ იჯარას, რომელიც ჩაშლილია აქტივების ცხრილში).

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

8. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2020 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს და რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

9. ამონაგები

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც: -კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს; -შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა; -მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; - შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

10. რეალიზებული პროდუქციის თვლირებულება

პროდუქცია აღირიცხება ფიფო მეთოდით და ჩამოიწერება რეალიზაციისთანავე

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2020 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

„ მსს ფასს " სტანდარტზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი

დირექტორი: ავთანდილ კენკეაშვილი

ბუღალტერი: გიორგი გიგაშვილი

